ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ლევან ჯაფარიძის

2022 წლის ანგარიში

2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის “88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2020 წლის 8 დეკემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. 2020 წლის 15 დეკემბრიდან ამავდროულად ვარ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, გარემოს დაცვის კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

საანგარიშო პერიოდში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა:

- 17 - ბიუროს სხდომა
- 15 - საკრებულოს სხდომა
- 113 მიღებული დადგენილება
- 649 მიღებული განკარგულება

(განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხ.თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.tbsakrebulo.gov.ge)

ინფორმაცია სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ

№3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, დამტკიცებული გეგმა მოიცავს 11 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 187 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება კომისიის სხდომაზე.

სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

ინფორმაცია სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში შემოწმდა/მოწმდება 14 ორგანიზაცია.
აქედან 7 ორგანიზაციაში შემოწმების შედეგად, სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები და განხილული იქნა სარევიზიო კომისიის სხდომაზე.
7 ორგანიზაცია ამ დროისთვის იმყოფება შემოწმება/განხილვის ეტაპზე.

კომისიის მუშაობის შესახებ

სარევიზიო შემოწმებების შედეგებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს და შემუშავდეს ქალაქში ერთგვაროვან საქმეთა შესრულების საეთო პრინციპი, რის გამოც, ჩემი ინიციატივით, სარევიზიო კომისიაში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც პრაქტიკიდან გამომდინარე საერთო რეკომენდაციების ჩამოყალიბებაზე მუშაობს.

რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობენ, როგოც რაიონების მაჟორიტარები, ასევე, საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების ხელმძღვანელები.

კომისიის მუშაობის შესახებ

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 16 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 55 საკითხი, მათ შორის 15 შემთხვევაში განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რასთან დაკავშირებითაც კომისიის სახელით, ჩემს მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნები.

ასევე კომისიაზე განხილვის შემდგომ, საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს სხდომაზე სამჯერ - კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარვადგინე.

გარემოს დაცვის კომისია

- მონაწილეობა მივიღე გარემოს დაცვის კომისიის 14 სხდომაში,
- სადაც შევისწავლეთ და განვიხილეთ 101 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

- ✧ მონაწილეობა მივიღე ფრაქციის 18 სხდომაში,
- ✧ სადაც განვიხილეთ 35 საკითხი.

მოსახლეობასთან შეხვედრები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და კრწანისის რაიონის მაჟორიტარის ბიუროში, 500 - მდე მოქალაქეს შევხვდი და შესაბამისი კონსულტაცია (დახმარება) გავუწიე.

კორესპონდენცია

განვიხილე და რეაგირება მოვახდინე 754 - მდე განცხადება - კორესპონდეციაზე, აგრეთვე ზეპირი კონსულტაცია - შუამდგომობა 300 - მდე მოქალაქეს გავუწიე.

შემოსულ განცხადებებზე შუამდგომლობები გაიგზავნა მერიის სამსახურებში, გამგეობებში, თბილისის განვითარების ფონდში და სხვა უწყებებში.

დასრულებული და მიმდინარე სამუშაოები ინფრასტუქტურული პროექტები

გზების მოწესრიგება

- 78 მისამართზე დაიგო ასფალტი
- 26 მისამართზე დაიგო ქვაფენილი

მიწისქვეშა კომუნიკაცია

- 5 მისამართზე რეაბილიტირდა

გრუნტის დამჭერი კედელი

- 9 მისამართზე მოეწყო

კიბე

- 6 მისამართზე რეაბილიტირდა

წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები

- 32 მისამართზე

კიბემწვანე ღობე

- 7 მისამართზე მოეწყო

დასრულებული და მიმდინარე სამუშაოები
ინფრასტუქტურული პროექტები

სკვერის მოწყობა და რეაბილიტაცია

- 5 მისამართზე განხორციელდა
- 3 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები

სპორტული და საბავშვო მოედანი

- 11 მისამართზე სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია
- 5 მისამართზე ფიტნეს ზონის მოწყობა
- 12 მისამართზე საბავშვო გასართობი მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია
- 1 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები

ინფრასტუქტურული პროექტები



მოეწყო ახალი
რეკრეაციული სივრცე



ღოღობერიძის ქ. N47

გულიას I ჩიხი N6

ახალი რეკრეაციული სივრცე 6 500 კვ.მ. ფართობზე მოეწყო

რეკრეაციული სივრცე

მარნეულის გზატკეცილი, ფერდობი N1

განხორციელდა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და საბავშვო გასართობის მოედნის მოწყობა

ორთაჭალის ქ. N90-93

მოეწყო ახალი რეკრეაციული სივრცე

ორთაჭალის ქ. N4

აბანოს ქუჩა N23

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს

რეაბილიტაცია ჩაუტარდა

კრწანისის ქუჩის რეაბილიტაცია

კრწანისის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში, კრწანისის ქუჩაზე წყალარინებისა და წყალმომარაგების ქსელების განახლებას კომპანია GWP განახორციელებს, ხოლო გაზმომარაგების მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაციას -„თბილისი ენერჯი“.

მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ მოეწყობა სანიაღვრე ქსელი. საჰაერო სადენები მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება, ასევე, 2 500 გრძივ მეტრზე გარე განათების ქსელი მოეწყობა , ხოლო 22 700 კვ.მ ფართობზე საგზაო სამუშაოები განხორციელდება. ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

გიორგი ნიკოლაძის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები

- გიორგი ნიკოლაძის ქ. N8-ში სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს;

- სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდება;
- ამავე ქუჩაზე მიმდინარეობს გზის საფარის დაგების სამუშაოებიც.

დასრულებული და მიმდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროექტები

კაპიტალური გამაგრება	სახურავი და წყალსაწრეტი მილები	მიწისქვეშა კომუნიკაცია
• 2 მისამართზე განხორციელდა • 3 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები	• 35 მისამართზე რეაბილიტირდა • 4 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები	• 6 მისამართზე მოწესრიგდა • 4 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები

დასრულებული და მიმდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროექტები

სადარბაზო

- 6 მისამართი რეაბილიტირდა

აივანი

- 6 მისამართზე რეაბილიტირდა
- 1 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები

დასრულებული და მიმდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროექტები

კიბე/კარი/ჭიშკარი

- 41 მისამართზე რეაბილიტირდა
- 4 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები

სენსორული სანათები

- 5 მისამართზე დამონტაჟდა

ლიფტი

- 19 მისამართზე რეაბილიტირდა
- 3 მისამართზე მოეწყო
- 5 მისამართზე მიმდინარეობს სამუშაოები

სპორტული ღონისძიება

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, კრწანისის რაიონში ტურნირები ჩატარდა

- მინი ფეხბურთში,
- კიკ-ბოქსინგში,
- ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და
- 3x3 ქუჩის კალათბურთში

კულტურული ღონისძიება

კრწანისის რაიონში, სადგურის ქ.N57-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში გაიმართა, თბილისის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი პროექტი „ოპერა შენს ეზოში“, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის 170-ე საიუბილეო წელს მიეძღვნა.

კრწანისობა

კრწანისის ბრძოლიდან 227-ე წელს „კრწანისობა-2022“ აღვნიშნეთ.

გმირებისთვის დიდების და პატივის მისაგებად ღონისძიება გაიმართა კრწანისის ველზე.

იოსებ გრიშაშვილის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიება

დღესასწაულის აღნიშვნა 2019 წლიდან დავიწყეთ, რომელსაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ქალაქის უცხოელი ვიზიტორებიც ესწრებიან.

იოსებ გრიშაშვილის სკვერი ერთი დღით ძველ თბილისურ სტილში გაფორმდა.

„ძველი თბილისური ბოჰემა“ ღონისძიების ძირითადი ნაწილის დაწყებამდე, სტუმრების წინაშე მეარღნე და სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული მსახიობები წარდგნენ.

ღონისძიების ფარგლებში, კიდევ ერთხელ გააცოცხლეს იოსებ გრიშაშვილის პოეზია მუსიკალური ნომრებითა და სხვადასხვა ფილმიდან და სპექტაკლიდან ფრაგმენტებით.

საქველმოქმედო ღონისძიება

16 წლის ელენა სოფიმ ორგანიზაცია „ბავშვები ბავშვებისთვის“ დამფუძვნებელმა მოგვმართა ინიციატივით, დახმარებოდა ჩვენს რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახს. მასთან ერთად ბარიხაშვილების 10 სულიან ოჯახს ვესტუმრეთ. 8 შვილიან დედას სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი და ფულადი დახმარება გაეწია.

საქველმოქმედო ღონისძიება

ჩემი ორგანიზებით საქველმოქმედო აქცია მოეწყო. აქციის ინიციატორები კომპანია „Global career”-ის დირექტორი მაიკ სვიგანსკი, ბენ სტუშნიკი, თომას თენოვი, ევან თენოვა და ქრეიგ სმიტი იყვნენ.

აქციის ფარგლებში,
25 მრავალშვილიან,
სოციალურად დაუცველ ოჯახს
სასაჩუქრე ნაკრებები გადაეცათ.